ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 57
(საფუძველი: შეთანხმება გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის შემდგომ)

ქ. მარნეული *„29“ „მარტი“ 2022 წელი*

*მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია, შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი **მერის კენან ომაროვის** სახით, და მეორე მხრივ, **შ.პ.ს. „ელ-სტარ “ შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“, წარმოდგენილი დირექტორის ნონა ჟუჟუნაშვილი სახით,** ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:*

შემდგომში თითოეული ცალ–ცალკე ერთობლივად წოდებულნი, როგორც „მხარეები”, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-10¹ მუხლის მე–3 პუნქტის „ბ “ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს #13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“-ს მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-4 მუხლის მე-3, მე-5 მუხლის მე-6 პუნქტის (კითხვარი 1.3), მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის (რეგ: 28/03/2022 წ; №:02-3222087301) მოხსენებითი ბარათის და მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 28.03.2022 წლის N 32.32220877 ბრძანებისა და 29.03.2022 წლის №ბ32.32220889 ბრძანების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას.

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომელზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3. „შემსყიდველი“ – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის მიწოდებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6. „საქონელი“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

*2.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვის ობიექტს წარმოადგენს მარნეულის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი თანხით, უკრაინაში განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით დახმარების მიზნით, ბავშვის საკვები პროდუქტების **(CPV 15884000 - ბავშვის საკვები)** შესყიდვა.*

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1.** ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს **4 441.75 (ოთხიათასოთხასორმოცდაერთი ლარი და 75 თეთრი) ლარი.

***3.2.** ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს, როგორც საქონლის ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.*

*3.3. დაფინანსების წყარო – **2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი***

4. მხარეთა ვალდებულებები:

4.1. მიმწოდებელი ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს საქონლის **მიწოდება 2022 წლის 29 მარტის ჩათვლით (შემსყიდველთან შეთანხმებით),** შემდეგ მისამართზე: **ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-73.**

4.1.2. განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზების გამოსწორება;

4.1.3. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2. შემსყიდველი ვალდებულია:

4.2.1. უზრუნველყოს ინსპექტირების/კონტროლის განხორციელება;

4.2.2. განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. გარანტია

5.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ მიწოდებული საქონელი არ იქნება დაზიანებული, არ გამოავლენს ხარვეზებს და იქნება მოხმარებისთვის ვარგისი, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებულია საკუთარი სახსრებით თავად უზრუნველყოს დაზიანებული და უვარგისი საქონლის შეცვლა ან/და გამოვლენილი ხარვეზების გამოსწორება.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი/ინსპექტირება

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ტექნიკური კონტროლი/ინსპექტირება ან/და გამოსცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს/პირებს, ხოლო მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს მას/მათ ინსპექტირების განხორციელების დროს.

6.2. ინსპექტირებას განახორციელებს **ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის ჯანმრთელობის, სოციალური დაცვის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების სპეციალისტები ალიონა მინაძე და ნინო ხარაიშვილი.**

6.3. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა დაუყოვნებლივ.

7. საქონლის მიღება–ჩაბარების წესი

7.1. საქონლის მიღება წარმოებს მიღება–ჩაბარების აქტის სახით. მიღება–ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი პირის/პირების ხელმოწერით. ხელშეკრულების პირობების (ვადების, რაოდენობის, ხარისხის) და კონტროლის განმახორციელებლი პირის/პირების დადებითი დასკვნის შესაბამისად.

7.2. შემსყიდველის მხრიდან საქონლის მიღებაზე უფლებამოსილ პირს/პირებს წარმოადგენს **მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსი ან/და მოვალეობის შემსრულებელი.**

8. ანგარიშსწორება

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება ლარებში;

8.2. ანგარიშსწორების ფორმა იქნება უნაღდო. გადარიცხვა მოხდება მიმწოდებლის საბანკო ანგარიშზე.

8.3. ანგარიშსწორების ვადა – **მიღება–ჩაბარების აქტის (საქონლის მიღებიდან) 10 სამუშაო დღის განმავლობაში.**

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელისშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზის შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ შესაძლო უმოკლეს ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების ან/და სხვა გამომწვევი მიზეზის თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე–11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1. წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუნქტის 4.1.1 ქვეპუნქტით გათვალისწინებული საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში და არაჯეროვანი შესრულების შემთხვევაში, შემსყიდველი იტოვებს უფლებას ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%–ის ოდენობით.

10.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით, ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

11.2. თუ რაიმე წინასწარი გაუთვალისიწნებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3. დაუშვებელია ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

11.4. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკებების გზით.

12.2. თუ მხარეები ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმების გზით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია მიმართოს საქართველოს სასამართლოს კანონით დადგენილი წესით.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1. თითოეული მხარე უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების ჯეროვან შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევაში.

13.2. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისგან.

13.3. ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ფორს–მაჟორი

14.1. წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს–მაჟორული მდგომარეობით.

14.2. ამ მუხლის მიზნებისთვის ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომელსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

14.3. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს–მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

15. *ინტერესთა კონფლიქტი 14.1. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი, ხელმოწერით ადასტურებს, რომ ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობის მიერ გამარტივებული შესყიდვის მეთოდით შერჩეულ პრეტენდენტთან* ***შ.პ.ს. ,,ელ-სტარ" -თან*** *სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობით განსაზღვრულ ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.*

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. *წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის* ***ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2022 წლის 30 მაისის ჩათვლით.***

17. მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი:

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
საიდენტიფიკაციო კოდი: 234 232 149
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ. N-73

საბანკო რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი: TRESGE22
ანგ. Ns.ა GE 24 NB 0330 1002 0016 5022

მიმწოდებელი:

შ.პ.ს. ,,ელ-სტარ"
საიდენტიფიკაციო კოდი: №434165440
მისამართი: ქ. მარნეული, რუსთაველის ქ., N 49ბ
ტელეფონი: 593 23 69 69

საბანკო რეკვიზიტები: სს ,,თიბისი ბანკი"
ბანკის კოდი: TBCBGE22
ანგარიშის ნომერი: GE 32 TB 7257 3360 2010 0010

შემსყიდველი:

_____ *კ. ომაროვი*

მიმწოდებელი:

_____ *ნ. ჟუჟუნაშვილი*

მხარეთა მიერ გამოყენებულია ელექტრონული ხელმოწერები

MARNEULI MUNICIPALITY

Digitally signed by MARNEULI MUNICIPALITY
Date: 2022.03.29 18:25:17 +04'00'

ინვოისი # 29/03/2022-1

შპს ელ-სტარი
ს/კ: 434165440
მისამართი: მარნეული, რუსთაველის 49ბ
ტელ: 593236969
ბანკი: სს "თიბისი ბანკი"
მიმღები ბანკის კოდი: TBCBGE22
ა/ა: GE32TB7257336020100010

მიმღები: მარნეულის მუნიციპალიტეტის
მერია
პირადი ნომერი: 234232149
მისამართი: მარნეული რუსთაველის ქ №73
საკონტაქტო ნომერი:

დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	თანხა
ჰუმანა 1 მაი ფექი 800 გრ	3	60	180
ჰუმანა 1 პლატინა	13	28.5	370.5
ჰუმანა 1 პლატინა ოპტინუმი 350.გრ	5	34	170
ჰუმანა 2 მაიფექი 800 გრ	1	60	60
ჰუმანა 3 პლატინა ოპტინუმი 350 გრ	5	28.5	142.5
ჰუმანა HA 1 ჰიპოალერგიული 300 გრ	2	33.246	66.492
ჰუმანა HA 1 ჰიპოალერგიული 300გრ	3	33	99
ჰუმანა HA 1 300 გრ	1	27.5	27.5
ჰუმანა AR ანტირეფლუსი 400 გრ	3	43.275	129.825
ჰუმანა ანტიკოლიკი 300გრ	3	33.5	100.5
ჰუმანა HN პრებიოტიკი 300გრ	3	34.04	102.12
ჰუმანა 2 შემდგომი კვება პრებიოტ.300 გრ	9	26.5	238.5
ჰუმანა რძ. ფაფა წიწ. ვაშლი 250 გრ	2	9.8	19.6
ჰუმანა იოგურტ პუდინგი შოკოლადი	4	10	40
ჰუმანა 2 პტტინა ოპტინუმი 350 გრ	1	33.868	33.868
ჰუმანა 1 პლატინა 300 გრ	1	27.784	27.784
ჰუმანა HA 2 ჰიპოალერგ	1	33.246	33.246
ნანი 1	2	28.5	57
ნანი 1 800გრ	2	48	96
ნანი 2	2	25.5	51
ნანი 3	2	28.5	57
ნანი 3 800 გრ	1	43	43
ჰეინზი პეჩენია	48	6.5	312
პლასმონ ანტირეფლუქსი 1 ნომ	1	34.5	34.5
პლასმონ რძ ფაფა ხილით 250 გრ	1	8	8
პლასმონი ლენილაკი 400 გრ	2	36.5	73
პლასმონი ნუტრი მუნ 750 გრ	2	30.5	61

პლასმონი ნუტრი უნო	3	30.475	91.425
პლასმოი ბრინჯის ფაფა 250 გრ	1	8	8
ჰიპი 1 ჰიპოალერგიული	1	33.5	33.5
ჰიპი 2 ჰიპოალერგიული	1	33.5	33.5
ჰიპი ფაფა	3	12.5	37.5
ჰიპი 1 რძის კომბიოტიკი	5	33	165
ჰიპი 1 კომბიოტიკი	9	35	315
ჰიპი 3 კომბიოტიკი	2	33.5	67
ჰიპი 3 კომბიოტ	2	33	66
ჰიპი პრე 300გრ	5	29	145
ფრისო 2 კომ	5	35	175
სელია 1 ნომ	3	29.5	88.5
ნანი სამმაგი კომფორტი	2	35.443	70.886
ნანი 2 800 გრ	1	40	40
ნანი 3	1	35	35
ჰიპი 2 300 გრ	1	33	33
ჰიპი 1 300 გრ	3	33	99
ჰიპი ჩაი 200 გრ	2	12.5	25
ფრისო 1 კომფ 400 გრ	3	37.5	112.5
ჰეინზი ფაფა 200 გრ	2	9.5	19
ჰეინზი ფაფა 200 გრ	6	10.5	63
ჰეინზი ანტირეფლუსი 400 გრ	1	47.5	47.5
ჰიპი კომფორტი	1	37.5	37.5
			4,441.75 Lari

დირექტორი: ჟუჟუნაშვილი ნონა

წერილის ნომერი:**02-3222087301**
თარიღი: **28/03/2022**

ადრესატი:

კენან ომაროვი
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერს

ბატონ კენან ომაროვს

ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის,

ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის

სამსახურის ხელმძღვანელის

მოვალეობის შემსრულებლის დავით აროშიძის

მ ო ხ ს ე ნ ე ბ ი თ ი ბ ა რ ა თ ი

ბატონო კენან,

მეზობელ სახელმწიფოში (კერძოდ უკრაინაში) მიმდინარე საომარ მოქმედებებთან და იქ არსებული მძიმე ეკონომიური მდგომარეობიდან გამომდინარე, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის მხრიდან განხორციელდეს ჰუმანიტარული დახმარების გაწევა, კერძოდ:

· ბავშვთა კვება

· ჰიგიენური საშუალებები (პუდრი, სვ. ხელსახოცი, პამპერსი)

. საწოვარა ბოთლი

გთხოვთ, გამოყოთ შესაბამისი თანხა, ზემოაღნიშნული ჰუმანიტარული დახმარების გასაწევად.

პატივისცემით,

დავით აროშიძე

ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური-პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი (მოვალეობის შემსრულებელი)

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**ბ32.32220877**

თარიღი:**28/03/2022**

გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"-ს მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის ნაწილის „ა“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „გ.ვ“ და ,,ე.ე” პუნქტის, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,ა” პუნქტის, საქართველოს კანონი „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“–ს 54–ე მუხლი, საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის და მე-10[1] მუხლის მე-3 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესი“–ს #13 ბრძანებით დამტკიცებული მე-3 მუხლის პირველი ნაწილის ,,ბ“ პუნქტის, მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის, მე-5 მუხლის, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 28 მარტის №02-3222087301 მოხსენებითი ბარათის **საფუძველზე,**

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. განხორციელდეს, 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან, უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით, პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთების (ბავშვთა კვება ჰიგიენური საშუალებების, პუდრის, სვ. ხელსახოცის, პამპერსის, საწოვარა ბოთლის) გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვა.

2.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურს წინამდებარე ბრძანების პირველი პუნქტის შესასრულებლად განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით დადგენლი წესის შესაბამისად.

3.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა (ოფიციალურად გაცნობად ჩაითვალოს მხარისათვის წინამდებარე ბრძანების ელექტრონული ფორმით, საქმისწარმოების სისტემის საშუალებით მიწოდება).

4.კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.

5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან–საბას №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

3000, ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N73, ტელ: (0357) 22 33 21, (0357) 22 43 54
N73 RUSTAVELI STR. MARNEULI, E-MAIL: MUNICIPALITETI@MARNEULI.GOV.GE

ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია
G E O R G I A
MARNEULI MUNICIPALITY CITY HALL

ბრძანება:**ბ32.32220889**

თარიღი:**29/03/2022**

სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი"–ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე.ე" ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მესამე ნაწილის ,,ა" ქვეპუნქტის, მე-16 მუხლის მეორე ნაწილის ,,ა" 99-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე, ჯანდაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, კულტურის, სპორტის, ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის სამსახური - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებლის 2022 წლის 29 ოქტომბრის #02-3222087301 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე;

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1.განხორციელდეს, მარნეულის მუნიციპალიტეტის სარეზერვო ფონდიდან, მარნეულის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 28 მარტის #ბ32.32220877 ბრძანების "გადაუდებებლი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის თაობაზე" საფუძველზე უკრაინაში მიმდინარე საომარ მოქმედებებთან დაკავშირებით, პირველადი სამედიცინო დახმარების ნივთების გადაუდებელი აუცილებლობით გამარტივებული შესყიდვის მიზნით, თანხის - 7830 (შვიდი ათას რვაას ოცდაათი) ლარის გამოყოფა;
2.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურს წინამდებარე ბრძანების 1-ლი პუნქტის შესასრულებლად განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელება მოქმედი კანონმდებლობით დადგენლი წესის შესაბამისად.
3.დაევალოს მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულ სამსახურს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებული მხარისათვის ოფიციალური გაცნობა (ოფიციალურად გაცნობად ჩაითვალოს მხარისათვის წინამდებარე ბრძანების ელექტრონული ფორმით, საქმისწარმოების სისტემის საშუალებით მიწოდება).
4. კონტროლს ბრძანების შესრულებაზე განვახორციელებ პირადად.
5.ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბოლნისის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ბოლნისი, სულხან–საბას №113), მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.
6.ბრძანება ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

კენან ომაროვი

მარნეულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

3000, ქალაქი მარნეული, რუსთაველის ქუჩა N73, ტელ: (0357) 22 33 21, (0357) 22 43 54
N73 RUSTAVELI STR. MARNEULI, E-MAIL: MUNICIPALITETI@MARNEULI.GOV.GE